ერთისა და იმავე ცოცხალი არსებისა, ამითი მატარებელი ხომ ერთი და იგივე აღამიანია. აქედან თავისთავათ გამომდინარებს შემდეგი აუცილებელი მოვლენა: როცა რომლისაზე სახელმწიფოს ქვეშევრდომი ეკლესიის წევრი ხდება, იგი ამის ძალით სრულებითაც ვალდებული არაა თავისი ოჯახი დაუტოვოს, თავისი საზოგადოება ანუ ხალხი და ხელობა უარ-ჰყოს, თავისი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებანი უკუ-აგდოს. ქრისტიანი მონათვლის შემდეგაც იმავე ოჯახისა, ერისა და სახელმწიფოს წევრი რჩება, რომელსაც მონათვლამდე ეკუთვნოდა.—მართალია, თავისი მიზნით ეკლესია „აწა ამის სოფლისაგან აწა“, მაგრამ იგი მაინც ამ ქვეყნად აჩვენებს; მას არა აქვს სახელმწიფო ტერიტორიისაგან განშორებული ტერიტორია, არამედ იძულებულია იმავე სახელმწიფოთა საზღვრებ შორის იაჩვენოს და ამ ქვეყნაურ დაწესებულებებთან შეზღუდვას იქნის.

მეორე მხრით, თავისი მიზნის მისაღწევად ეკლესიას აუცილებლათ სპირიტუალური: თავისუფლება სიტყვისა და ქადაგების, ხელშეუხებლობა საღვთისმსახურო და საორგანიზაციო კრებების, აგება, შემკობა და შენახვა სამლოცველო შენობების, უზრუნველ-ყოფა საეკლესიო იერარქიის ანუ სამღვდელთა, რასაც, რასაკვირველია, ნივთიერი საშუალებანი ანუ ქონება სჭირია. ხოლო ეს ისეთი პირობებია, რომელნიც ეკლესიას ერთგვარ კორპორატიულ დაწესებულებად ჰხდის, სახელმწიფოში კარგმანათი უფლებათა მოპოვებას აიძულებს. ამ მხრივ ეკლესიას არ შეუძლია, სახელმწიფოს გვერდი აუაროს, მის იურისდიქციასთან საქმე არ დაიჭიროს. სახელმწიფოსათვის საჭიროა იცოდეს, თუ რა კორპორაციაა ეს კორპორაცია, როგორია მისი მიზანი? შესაძლოა, თუ არა, სახელმწიფოს ქვეშაირი ინტერესთა დაურღვევლათ, ამ კორპორაციას ნება დაერთოს, შესაძლოა თუ არა—მას კორპორატიულ-ქონებრივი უფლებანი მიეცეს და სხვა.

აქ იწყება უფლებრივი დამოკიდებულებანი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, მაგრამ იმავე მუხლში ედება საზღვარი აღნიშნულ დამოკიდებულებათა საზღვარს. ეკლესია დამოკიდებულებათა უფლება სახელმწიფო კანონმდებლობას მხოლოდ როგორც კერძო ძმობა ანუ კავშირი, და სახელმწიფოს უფლება აქვს შეეხოს მას, მხოლოდ როგორც კერძო კავშირს ანუ საზოგადოებას. ამას იქით სახელმწიფო ვერ გადაშორდება, უკეთეს სურს კანონიერ ნიადაგზე დარჩეს. სახელმწიფოს, სახელმწიფოს შეუძლია, ეკლესია ნებადართულ საზოგადოებად აღიაროს, შეუძლია რამდენიმე მფარველობაც გაუწიოს; მაგრამ, როგორი ურთიერთობაც გინდა ჰქონდეს ეკლესიასთან, სახელმწიფოს უფლება არა აქვს, ამ კორპორაციას წეს-წყობილება შეუცვალოს, მის შინაგანს გამგეობას, კანონმდებლობასა და სამართალს დარაჯი მიუჩინოს, მის სწავლამოძღვრებაში ცვლილება რამ შეიტანოს, მისი ქონებრივი უფლებანი, თვით ეკლესიის დაუკითხავათ, ძირიანათ შეატრიალოს, შეზღუდოს

ანუ გააუქმოს და სხვა<sup>2)</sup>. სახელმწიფო ვალდებულია, მხოლოდ უზრუნველყოს ეკლესიის წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება და საეკლესიო დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან; ამაზე მეტი სახელმწიფოს არც მოეთხოვება და არც ეუფლება. ეკლესია არ უნდა დააბრმავოს საერო მთავრობის მხრივ კეთილმა განწყობილებამ; იგი მუდამ უნდა სცდილობდეს ეს კეთილ-განწყობილება ზომას არ გადაიჭარბოს; მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ეკლესიაში როგორც წევრად შემოსვლა, ისე მართვა-გამგეობა და სწავლა-მოდღერება, ყველაფერი გულწრფელ ქრისტიანულ სიყვარულსა და თავისუფალ რწმენაზე უნდა იყოს დამყარებული, ყველაფერი წმინდა ზნეობრივი მოტივებისაგან უნდა გამომდინარებდეს. ამის გამო ეკლესია უნდა ერიდოს სახელმწიფოსაგან ან კერძო გავლენიან პირთაგან იმნაირი პრივილეგიებისა და დახმარების მიღებას, რომელიც მის წევრთა და იერარქიის მოქმედებას ამ წმინდა ზნეობრივ და სარწმუნოებრივს ხასიათს დაუქარგავს.

ვთქვათ, რომელმამე სახელმწიფომ ქრისტიანობა ნებადართულ სარწმუნოებად აღიარა. გავიდა რამდენიმე ხანი და სახელმწიფომ ამ სარწმუნოებას მფარველობა დაუწყო. თუ ეს მფარველობა მხოლოდ გარეშე მტერთა შემოსევისაგან დაცვაში გამოიხატება, მაშინ, რასაკვირველია, ქრისტიანობა სრულიადაც არაფერს დაჰკარგავს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქრისტიანები უბრალო მფარველობას არ დასჯერდნენ და სახელმწიფოს მოსთხოვეს, რათა მან აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქრისტიანობის გავრცელებაში, სხვა რჯულის მიმდევარ ქვეშევრდომებს ძალა დაატანოს ან პოლიტიკური და ქონებრივი უპირატესობანი აღუთქვას მათ, უკეთუ იგინი ქრისტიანობას მიიღებენ. ვთქვათ, ეს თხოვნა სახელმწიფომაც შეწყენარა და ახალი სარწმუნოების მიმდევართ დაუწყო სხვადასხვა პრივილეგიების ბოძება, სამსახურში იგინი უფრო წინ დააყენა, მათ მოძღვრებსა და მასწავლებლებს ხაზინიდან ჯამაგირები დაუნიშნა, ხოლო მათი სამლოცველო სახლები სახელმწიფო ხარჯით შეამკო ან აღაშენა და სხვა. რა თქმა უნდა, ბევრი ქვეშევრდომი ქრისტიანობაზე გადმოვა, მაგრამ როგორი იქნება ეს გადმოსვლა? რა ზნეობრივი ღირსებისანი იქნებიან ის პირნი, რომელნიც ახლა ამ სარწმუნოებისაკენ გამოსწევენ? უთქველია, ქრისტიანობისაკენ ბევრი ისეთი ელემენტი გამოეშურება, რომელსაც აღარც ძველი სარწმუნოება მიაჩნია და ახლისკენ კი მხოლოდ პოლიტიკური პრივილეგიები და ქონებრივი სარგებლობა იზიდავს. ცხადია, ესევე ბედი ეწევა ქრისტეს მიმდევარ სამღვდლოებასაც; იერარქიული ადგილების დაჭერას ეკლესიაში ბევრნი ისეთი პირნი მოისურვენ.

<sup>2)</sup> უფრო ვრცლათ იხ. И. Бердниковъ—Госуд. полож. рел. въ римско-византійской имперіи. т. I. Казань. 1881 г., стр. 505—508 и 565—566.

ბენ, რომელთაც ხშირათ პატივ-მოყვარეობა და ქაწიერებ-პოლიტიკური ან-გარიშები ამოძრავებსთ. რალა სალაპარაკოა, რომ ამ შემთხვევაში ეკლესია ბევრს ვერაფერს მოიგებს, პირიქით მისი საქმე დაცემის გზას დაადგება, მის წევრთა ზნეობრივ-სარწმუნოებრივი დონე შესამჩნევად დაიწვეს; მისი ხელ-მძღვანელი იერარქია საერო მთავრობის ყურმოქრილ მონად და პატივ-მო-ყვარე მატერიალისტთა ბრბოდ გადაიქცევა.—კიდევ უფრო ცუდს მდგომა-რეობაში ჩავარდება ეკლესია და კერძოთ მისი იერარქია, უკეთუ ამ უკანა-სკენელს სახელმწიფო რომლისამე სამოქალაქო ხელის-უფლებით დატვირთავს, საერო ადმინისტრაციული უფლებებით შემოსავს, რადკან ამ შემთხვევაში სა-ეკლესიო იერარქია საერო მთავრობაზე დამოკიდებული გახდება, მის წინა-შე პასუხის მგებელი შეიქმნება, რისგამოც საერო მთავრობას ყოველთვის ექნება საბუთი სამღვდელო პირთა არჩევნებში ჩაერიოს, მორწმუნეთა მიერ არჩეული კანდიდატი არ დაამტკიცოს, მათთვის სასარგებლოსა და მოსაწონ მღვდელს ანუ მღვდელმთავარს რაიმე სამოქალაქო-ადმინისტრაციული ხრიკი მოსდვას და სამსახურიდან გადააყენოს ან გადაასახლოს და სხვა. ერთი სი-ტყვიით, აქ სამღვდლოება გახდება არა მარტო მონა საერო მთავრობისა, არამედ მისი პოლიტიკური მისწრაფებების პირდაპირი იარაღიც, გაბა-ტონებულ კლასთა ინტერესების დამცველი და ცხოვრებაში გამტარებე-ლი წოდება. და ეს ხომ პირდაპირი უარის-ყოფა იქნება იმ დიდებული პრინციპისა, რომელიც ქრისტიანობამ აქცნა ქვეყანას, როდესაც ერთხელ და საუკუნოთ აღიარა სრული განცალკევება სარწმუნოებისა და პოლიტი-კისა, სახელმწიფოსი და ეკლესიისა.

ყოფლისავე ზემო თქმულიდან, ვგონებთ, საკმაოთ გამოიკვია, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს და რა საზღვარს არ უნდა გადაშორდეს მფარველობი-თა განწყობილება სახელმწიფოსი ეკლესიასთან, რას უნდა აძლევდეს პირველი უკანასკნელს და რას უნდა სჯერდებოდეს უკანასკნელი პირველისაგან: სა-სხელმწიფო ვადადებულია მხოლოდ უზრუნველ-ჭყოლს ეკლესიის წევრთა ნამდვილი სა-რწმუნოებრივო თავისუფლება და საეკლესიო დაწესებულებათა ხელ-შეუხებლობა ეკლე-სიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან; ამაზე მეტი სასხელმწიფოს არც ეუფლება და არც მოეთხოვება. ეს უნდა ითქვას საზოგადოთ ყოველგვარ სა-ხელმწიფოზე, განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოებზე, რომელნიც თავის თავს ქრისტიანობის მომხრედ აღიარებენ.

სახელმწიფოთა სწორეთ ამ ჯგუფს ეკუთვნის ბიზანტიის იმპერია, ჩვენს წყაროებში „საბერძნეთად“ წოდებული, რომელმაც თითქმის 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საუკუ-ნის განმავლობაში (313—1453 წწ.) ატარა ქრისტიანობის დროშა აფრიკა-ევროპის აღმოსავლეთ ნაწილსა და წინა აზიაში, სანამ მის ნაოხარზე საბო-ლოოთ არ დამკვიდრდა მაჰმადიანთა სახელმწიფო—ოსმალეთი. ბიზანტიიდან

მივიღეთ ქრისტიანობა ჩვენ, ქართველებმა (323—326 წელს<sup>3</sup>); იქიდანვე მიიღო აღნიშნული სარწმუნოება რუსეთმაც (988 წს), რომლის ხელშიაც დღეს ვიმყოფებით. როგორც რუსეთი, ისე საქართველო დიდხანს იმყოფებოდა ბიზანტიის კულტურულ გავლენის ქვეშ; კერძოთ, მოსკოვის მონარქები და პეტერბურგის იმპერატორები თავის თავს ყოველთვის ისე უცქეროდნენ, როგორც ბიზანტიის იმპერატორთა მემკვიდრეებს. და მუდამყამ სცდილობდნენ თავისი ურთიერთობა ეკლესიასთან იმავე წესით მოეწყოთ, როგორც ბიზანტიის იმპერიაში იყო მოწყობილი. დღესაც რუსის ზოგიერთი კანონისტიები ყოველ ღონეს ხმარობენ, რუსეთის ეკლესიის აწ არსებულს ანორმალურს სახელმწიფოებრივს მდგომარეობას ბიზანტიის იმპერატორთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მოუბოჲან გასამართლებელი საფუძველი, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს გამართლება მეტად ცალმხრივია და ზოგიერთ შემთხვევაში ბერძნულისა და ლათინური ტექსტის ტენდენციურ თარგმანზეა დამყარებული. მაშასადამე, თუ გვსურს, ჩვენი ეკლესიის წარსულისა და აწმყო სახელმწიფოებრივ მდგომარეობის ნამდვილი ფასი შევიგნოთ, აუცილებლათ საქიროა გავიცნოთ, თუ როგორის კანონებათ იყო უზრუნველ-ყოფილი და როგორი სახით ხორციელდებოდა პრაქტიკულათ სინოდისისა და ეკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაში. ესევე მიმოხილვა შეგვაგებინებს, თუ როგორს შეტყობებს უნდა მოჲრადოს შემდეგში ჩვენი ეკლესია სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგების დროს.

რომ შრომა მეტისმეტათ არ გაგვიგრძელდეს, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს ექვს უმთავრეს საკითხს:

I—როგორ უცქეროდნენ ბიზანტიის იმპერატორები ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას?

II—როგორ სწარმოებდა ბიზანტიაში ქრისტიანობის გავრცელება?

III—იყო თუ არა ეკლესია თავისუფალი თავის კანონმდებლობაში?

IV—იყო თუ არა ეკლესია თავისუფალი სასულიერო სამართალში?

V—რა პრივილეგიებით სარგებლობდა ბიზანტიაში საეკლესიო იერარქია და როგორის წესით სწარმოებდა მისი წევრების არჩევა?

VI—დასასრულ, როგორი იყო ეკლესიის ქონებრივი უფლებანი და რამდენათ იყო თავისუფალი ეკლესია თავის ქონებათა მართვა-გამგებობაში?

პირველ საკითხს აზრად აქვს, გამოარკვიოს ბიზანტიის იმპერატორთა თეოკრეტიული შესჯდულება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. დანარჩენი საკითხები კი იმავე იმპერატორთა პრაქტიკულს მოღვაწეობას შეეხება; სახელდობრ მათ აქვთ აზრად გაარკვიონ, თუ რამდენათ შესძლეს ბიზანტიის იმპერატორებმა პრაქტიკულათ განხორციელება იმ პრინციპისა, რომელსაც თეორიაში აღიარებდნენ. ვეცდებით უმეტესათ ფაქტების ენით ვილაპარაკოთ.

<sup>3</sup> ამ საკანზე იხ. ჩვენი შრომა: «საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი» (შობა-მბე) 1905 წ. № IV, გვ. 1—24).



I

თ მ რ ი ა .

313 წელი ფრიად შესანიშნავი წელიწადი იყო ქრისტიანობის ცხოვრებაში. ამ წელს პირველათ აღიარა რომის იმპერიამ ქრისტიანთა სარწმუნოების სრული თავისუფლება. იმპერატორმა კონსტანტინემ და მისმა თანამმართველმა (და სიძემ) ლიცინიმ ჩრდილო იტალიის ქალაქს მედიოლანში გამოსცეს ედიქტი, რომლის ძალითაც რომის ყველა ქვეშევრდომს მიეცა უფლება, ის სარწმუნოება მიეღო, რომელიც სურდა („Liberam potestatem sequendi religionem, quam quisque voluisset“).

ამავე მაგალითს მიბაძა მეორე წელს (314) ლიცინის თანამმართველმა მაქსიმინემაც; ხოლო როცა კონსტანტინე-იმპერატორი ამ ორთავე მოქიშპეთაგან საბოლოოთ განთავისუფლდა (323 წ.) და მთელის იმპერიის დამოუკიდებელი გამგე შეიქმნა, მან განმეორებით დაამტკიცა მედიოლანის ედიქტი და სამუდამოთ ადრადღა სარწმუნოების გულისთვის ვისიმე შევიწროება და შეწუხება.

ამგვარათ 313—323 წლებს შორის საბოლოოთ გაიმარჯვა სინიღისის თავისუფლების დიდებულმა პრინციპმა რომის იმპერიაში: ოფიციალურათ იგი დაკანონებულ იქმნა იმპერატორების ედიქტებით, რომლებშიაც პირველათ წარმოითქვა საერო მთავრობის პრინციპიალური შეხედულება საზოგადოთ სარწმუნოების და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. ეს შეხედულება იყო—სარწმუნოებათა სრული თავისუფლება. მართალია, კონსტანტინე—იმპერატორი და მისი მემკვიდრეებიც კვლავ ატარებდენ ძველ წარმართულ საიმპერატორო ტიტულს—Pontifex maximus (=„უდიდესი მღვდელ-მთავარი“); მაგრამ, რამდენათაც საქმე საქრისტიანო სარწმუნოებასა და ეკლესიას შეეხებოდა, იმპერატორი ძლიერ ფრთხილათ იქცეოდა, ისეთი რამ არ მოემოქმედებია, რაც მის უფლებას აღემატებოდა. მაგალითად, როცა მწვალებელ—დონატისტებმა იმპ. კონსტანტინეს ეპისკოპოსებზე საჩივრებით თავი მოაბეზრეს, იმპერატორმა შემდეგი გულის—წყრომით დაახასიათა ამ მწვალებლების ურიგო საქციელი; „რა თავხედობაა!.. რა უნდათ ჩემგან ამ აღამიანებს? იგინი ნამდვილი სატანის იარაღნი არიან: ჩემგან სამართალს თხოულობენ, ჩემგან, რომელსაც თვათან მომუდის ქრისტესაგან გასმართლება. იგინი ჩემთან საჩივრით მოდიან, თითქოს საქმე სამოქალაქო ცხოვრებას შეეხებოდეს; ციურ საგნებს საქვეყნო საქმეებად აქცევენ“ და სხვა.<sup>4)</sup>

ამასობაში მოაწია კონსტანტინეს მეფობის ოცმა წელმა (326 წელს),

<sup>4)</sup> Арх. Иоаннь.—О свободѣ совѣсти (—, Xp. Чтеніе“ за 1864 г. ч. III, стр. 286—241).

და იმპერატორმა ამ შემთხვევისა გამო ნიკეაში მყოფ ეპისკოპოსებს სამაგალითო წვეულება გამართა. აი, ამ ნადიმის დროს იხმარა მან ის ორ-აზროვანი ფრაზა, რომელზედაც დღეს ზოგიერთი ისტორიკოსები ოცნებობენ მთელი სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ურთიერთობათა სისტემა ააშენონ. აი ეს ფრაზა: „თქვენ ხართ, — მიმარმა კონსტანტინებ იქ მყოფ მამებს, — შინაგნათ მათ ზედა ეკლესიისათა, ხოლო მე გარეგანთა ზედა ღვთისა მიერ დადგენილი ეპისკოპოსი“, ე. ი. გამოდის, ვითომც იმპერატორს თავისთავისათვის ეპისკოპოსი ეწოდებოდა. ცხადია, იმპერატორი თავისთავს „ეპისკოპოსად“ ჰხადის, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ სიტყვა „ეპისკოპოსი“ ბურძნულენაში „ზედამხედველს“ ნიშნავს და იმ დროს, რომელსაც აღნიშნული ეპისკოპოსი ეკუთვნის, საერო მთავრობას ჯერ კიდევ გარკვეული არ ჰქონდა ამ სიტყვის სპეციალური მნიშვნელობა („მღვდელმთავრის“ აზრით). მეორე მხრით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ იმპერატორი ამ ფრაზაში თავის-თავს უწოდს ისეთს „ეპისკოპოსად“ (ზედამხედველად), რომელიც დადგენილია ღვთისაგან „გარეგანთა ზედა ეკლესიისათა“, ე. ი. იმ პირებსა და საქმეებზე, რომელნიც ეკლესიის გარეშე იმყოფებიან. ხოლო იმ დროს ეკლესიის გარეთ იყვენ ყველა წარმართები და მათი სარწმუნოებრივი საქმეები: უქვევლია, რომის იმპერატორს, რომელიც მაშინ კიდევ ატარებდა „Pontifex maximus“-ის ტიტულს, სრული საბუთი ჰქონდა თავისთავისათვის ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და სარწმუნოებრივ საქმეთა „ზედამხედველი“ („ეპისკოპოსი“) ეწოდებია, სწორეთ ისე, როგორც მისი სტუმრებიც ეკლესიაში მყოფ პირთა და საეკლესიო საქმეთა „ზედამხედველებად“ („ეპისკოპოსებად“) იწოდებოდნენ.<sup>5)</sup> ცხადია, გულუბნეს მასპინძელს მოუსურვებია, წვეულებაში მყოფ ეპისკოპოსებისათვის მოსწრებულო სიტყვა ეთქვა, და საუცხოოდაც შეუსრულებია ეს განზრახვა: იგი მათ თავის თანასწორად სახავს, თავის თავს „ეპისკოპოსად“ აღიარებს, მხოლოდ არა იმ საქმეთა და პირების „ეპისკოპოსად“, რომელნიც ეკლესიაში იმყოფებიან, არამედ იმ პირებისა, რომელნიც ეკლესიის გარეშე ცხოვრობენ. „თქვენც ეპისკოპოსები ხართ და მეცა“, — მახვილ-სიტყვაობს ნადიმად მჯდომი იმპერატორი; და ეს არის გულ-უხვი მასპინძლის ლაღი, მაგრამ სრულიად უფლებელი „ზმა“ და მეტი

<sup>5)</sup> Евсевій—Жизнь Константина Великаго. IV, 24, სადაც იმპერატორი ეუბნება ეპისკოპოსებს: თქვენ ხართ დადგენილი ეპისკოპოსად იმაზე, ვინც და რაც ეკლესიაში იმყოფება (ე. ი. ქრისტიანებსა და საეკლესიო საქმეებზე), ხოლო მე იმაზე, ვინც და რაც ეკლესიის გარეშეა (ე. ი. წარმართებსა და მათ სარწმუნოებრივ საქმეებზე). სწორეთ ასე ესმის ეს ფრაზა გერმანელ საეკლესიო ისტორიკოსს Mähler-საც (Kirchengeschichte, I, 580). შედარეთ 1 კორინთელთა, თ. V, მუხლ. 12—13, სადაც სიტყვები: „შინაგანნი“ და „გარეშენი“ სწორეთ იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც ეს ჩვენ კონსტანტინეს სიტყვებში ვიხმარეთ.

არაფერი. მაშასადამე რაიმე სერიოზულ დასკვნის გამოყვანა ამ სიტყვებიდან ყოვლად შეუძლებელი საქმეა. მით უმეტეს შეუძლებელია, ამ სიტყვებზე ესა თუ ის სახელმწიფოებრივი თეორია იქნეს დამყარებული. ერთი სიტყვით, რამდენათაც საქმე პირველ ქრისტიან იმპერატორის თეოკრეტიულ შეხედულებას შეეხება, ვადაქრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მართალია, ეს შეხედულება მტკიცეთ გარკვეულს არას წარმოადგენდა, მაგრამ არსებითათ იგი კვლევის სრულს თავისუფლებას უფრო ემხრობოდა, ვინემ იმ საზიზღარ პრინციპს, რომელსაც ისტორიაში „ცეზარო-პაპიზმი“ ანუ საეკლესიო საქმეებში საერო მთავრობის (ცეზარის ანუ კეისრის) გაბატონება ეწოდება. სწორეთ ამგვარს პრინციპს დაადგენ კონსტანტინე I-ის მემკვიდრეები საეკლესიო საქმეებში (კონსტანტინე II, კონსტანტი II და კონსტანსი—338—361 წ.). მაგრამ ესენი ხომ მწვალებლობის მიმდევარნი (არაიანელები) იყვენ და მათი ტაქტიკა მართლმადიდებელ ეკლესიისათვის მხოლოდ იმდენათაა საყურადღებო, რამდენათაც იგი გვასწავლის, თუ როგორ არ უნდა იქცეოდენ საერო მთავრობის წარმომადგენელი საეკლესიო სფერაში.

ბევრს არაფერს ვიტყვით იულიანე-განდგომილის პოლიტიკაზე, რომელიც იმდენათვე ცბიერული იყო, რამდენათაც ქრისტიანული და პროგრესიული. საყურადღებოა მისი მოადგილის იოზიანე-იმპერატორის მეფობა (363—364 წ.), როდესაც თვით წარმართთა შორის გამოჩნდენ განათლებული პირნი, რომელნიც წმინდა ქრისტიანულს პრინციპებს უქადაგებდენ იმპერატორებს სარწმუნოებრივ თავისუფლების შესახებ. „არის ისეთი საგნებო, — ამბობს ერთი ამ პირთაგანი, ფილოსოფოსი თემისტიუსი, — რომლებშიაც იმპერატორს არ შეუძლია თავის ქვეშვარდომებს ძალა დატანოს; ასეთია — სათნოება და, განსაკუთრებით, სარწმუნოება.“<sup>6)</sup>

შემდეგში იმპერატორებმა უფრო გარკვევით დაიწყეს თავისი შეხედულების გამოთქმა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ. იმპერატორებს: თეოდოსი მე-II-სა და ვალენტინიანე მე-III-ეს ამ ურთიერთობის იდეალად მიიჩნიათ სარწმუნოებისა და საერო მთავრობის „კავშირი“ ანუ შეთანხმებული მოქმედება.<sup>7)</sup>

მაგრამ ყველა იმპერატორებზე უფრო ნათლათ ეს შეხედულება გამოთქმული აქვს იმპ. იუსტინიანეს (527—565 წ.) თავის მე-6 ნოველლაში. ეს ადგილი იმდენათ საგულისხმოა, რომ არ შეგვიძლია იგი სავსებით არ მოვიყვანოთ.

„ორი უდიდესი ნიჭი აქვს მომადლებული ღვთისაგან კაცობრიობას: მდკვალბა და მკუფაბა, რომელთაგან პირველი საღმრთო საქმეებს ემსახურება,

<sup>6)</sup> იხ „Христ.—Чтение“ за 1864 г. ч. III, стр. 259—260.

<sup>7)</sup> იხ. Никодимъ—Миланшъ—Православное Церковное Право. Перев. съ сербскаго — М. Петровича. Спб. 1897 г., стр. 681.



ხოლო მეორე საკაცობრიოს. ორნივე კი ერთისა და იმავე დასაბამილინ გამომდინარებენ და ამკობენ ადამიანის ცხოვრებას. ამისგამო შეფეთათვის ისე დიდათ საზრუნავი არაფერი არაა, როგორც პატივი სამღვდელთებისა, რომელიც მათთვის მუდამ ღმერთს ევედრება. და, უკეთუ მღვდლობა ყოველის მხრით კეთილ-მოწყობილი და ღვთისათვის სასიამოვნო იქნება, ხოლო შეფობა სიმათლით ვანაგებს მინდობილს სახელმწიფოს, მაშინ მათ შორის დამკვიდრდება სრული თანხმობა (consonantia) ყველაფერში, რაც საჭიროა კაცთა ნათესავის სიკეთისა და სარგებლობისათვის. ამის გამო ჩვენც დიდათ ვზრუნავთ ჭეშმარიტ სადგოთ დიდმატა და სამღვდელთა პატივის დაცვისათვის, ვინაიდან იმედი გვაქვს, რომ ამითი ღვთისაგან მივიღებთ უდიდეს სიკეთეს და მტკიცეთ დავიცავთ მას, რაცა გვაქვს, ხოლო, რაც დღევანდლამდე არ მიგვიღია, მოგვეგება“.<sup>8)</sup>

როგორც ვხედავთ, იუსტინიანეს სწამს, რომ მღვდელთა და მეფეთა, ანუ ეკლესიისა და სახელმწიფოთა, ორი განცალკევებული სფეროა, თუმცა დასაბამი ერთი აქვს; მაგრამ ეს განცალკევება ხელს არ უშლისთ მათ ერთსა და იმავე მიზანს. საერთო კეთილდღეობას, ემსახურონ; საჭიროა მხოლოდ: საერთო მთავრობის მფარველობის ქვეშ ეკლესიამ თავისი საქმე წარმატებითა და ღვთის სასიამოვნოთ მოაწყოს, ხოლო სახელმწიფომ სიმათლით მართოს საერთო საქმეები; მაშინ ამ ორი განცალკევებული მუშაობისაგან საბოლოო წარმოსდგება „ყოველგვარი სიკეთის მომნიჭებელი თანხმობა“ ანუ ჭარმინიული „გაუშირა“ ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის.

კერძოთ, საერთო მთავრობის მხრივ ეკლესიისადმი მფარველობა იუსტინიანეს ესმის როგორც „ზრუნვა ჭეშმარიტთა სადგოთ დიდმატა და სამღვდელთა პატივის დაცვისათვის“. და ამ მიზნით, მართლაც, 530 წელს მან გამოსცა ბრძა-

<sup>8)</sup> Nov. VI—Praefatio: „Maxima quidem in hominibus sunt dona Dei superna collata clementia: sacerdotium et imperium, illud quidem divinis ministrans, hoc autem humanis praesidens ac diligentiam exhibens, ex uno eodemque principio utraque procedentia humanam exornant vitam. Ideoque nihil sic erit studiosum imperatoribus, sicut sacerdotum honestas, cum utique et pro illis ipsis semper Deo supplicent. Nam si hoc quidem inculpabile sit undique, et apud Deum fiducia plenum, imperium autem recte et competenter exornet traditam sibi rempublicam, erit consonantia quaedam bona, omne, quidquid utile est, humano conferens generi. Nos igitur maximam habemus sollicitudinem circa vera Dei dogmata et circa sacerdotum honestatem, quam illis obtinentibus credimus, quia per ea maxima nobis bona dabuntur a Deo, et ea, quae sunt, firma habebimus, et quae hactenus venerunt, acquiramus“. ნახეთ «Corpus Juris Civilis» ლეიპცილის გამოცემა. t. III: Liber constitutionum novellarum sive autenticarum D. Justiniani. შეადრეთ ამავე ადგილის რუსული თარგმანი *Никодинъ-Миланъ* — Прав. Церк. Право, стр. 681—682.

ნება, რომლის ძალითაც ყველა საეკლესიო კანონები სახელმწიფო კანონებად გამოაცხადა, ან უკეთ რომ ვთქვათ, საეკლესიო კანონები მნიშვნელობის მხრივ სახელმწიფო კანონებს გაუთანასწორა: ვინც საეკლესიო კანონს დაარღვევდა (მაგ. მწველებლები), ისე დაისჯებოდა, როგორც სახელმწიფო კანონების დამარღვეველი და პოლიტიკური დამნაშავე. ეს ბრძანება იუსტიციანი შემდეგში ორჯერ კიდევ გაიმეორა: 542 და 545 წელს.<sup>9)</sup>

ამგვარათ, იუსტინიანეს დროს პირველათ დაკანონდა ძალდატანებითი ზნინციზა საეკლესიო საქმეებში: ყოველგვარი თავისუფალი აზროვნება სარწმუნოებრივ საქმეთა შესახებ ამიერითგან პოლიტიკურ დანაშაულად იქმნა გამოცხადებული და, საეკლესიო სამართალს გარდა, საერო მთავრობის იურისდიქციასაც დაემორჩილა. ეს იყო უდიდესი დანაშაული ქრისტიანობრივ სარწმუნოების წინაშე. სამწუხაროთ, ამ დანაშაულში დიდი წილი უძველეს ზოგიერთს კონსტანტინოპოლის პატრიარქებსაც, როგორც, მაგალითად, ეპიფანესა და მინას, რომელთ თხოვნითაც იუსტინიანე იმპერატორი იძულებული იყო, საეკლესიო კანონებისათვის თავისი სანქციაც მიეცა.<sup>10)</sup>

საეკლესიო და საერო მთავრობათა შორის თანხმობის საქიროებას არც მსოფლიო კრებანი უარპყოფდენ, მაგრამ იგინი ძლიერ შორს იყვენ ძალდატანებითი მოქმედებისაგან. პირიქით, რამდენათაც საქმე ეკლესიის მართვა-გამგეობას შეეხებოდა, მსოფლიო კრების მამანი ერთხმით იმ აზრისანი იყვენ, რომ ამ სფეროში საიმპერატორო კანონებს არავითარი ძალა და მნიშვნელობა არა აქვს, აქ ყველაფერი სეკულარო კანონებათ უნდა სწარმოებდესო. ამ აზრს აღგა, მაგალით., მე-IV მსოფლიო კრება (451 წ.), რომელზედაც იმპერატორის რწმუნებულიც (კანდიდიანი) დაესწრო. კრებამ ერთხმით დაადგინა, რომ, როდესაც საქმე, მაგალ., ეპისკოპოსთა საურთიერთო დამოკიდებულებას შეეხება, საიმპერატორო კანონებს იქ არავითარი ძალა არა აქვს; უნაბატესობა ყოველთვის საეკლესიო კანონებს უნდა ეძლეოდესო.<sup>11)</sup> ხოლო მე-III მსოფლიო კრება ამისთანა შემთხვევებში პირდაპირ აფრთხილებს ყველა თავის წევრებს და მთელს ეკლესიას: „ნუ შემოაზარება ეკლესიაში, კეთილმსახურობის სახით, თავხედობა საერო მთავრობისა, რათა არ მოგვაკლდეს თავისუფლება, რომელიცა მოგვანიჭა ჩვენ ქრისტემან იესო, განმათავისუფლებელმან ყოველთა ადამიანთამან!“<sup>12)</sup>

ეკლესიის „თავისუფლებას“ მტკიცეთ იცავდენ ყველა მსოფლიო კრებანი და საერო მთავრობასთან „თანხმობას“ ანუ ჰარმონიულ „კავშირს“ თანაუგრძობდენ მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს კავშირი ეკლესიის თავისუფლე-

<sup>9)</sup> *Никодимъ—Милашъ*—loc cit., стр. 682 (Nov. 115 и 131).

<sup>10)</sup> *А. С. Павловъ*—*Курсы Церк. Парва. Серг. Посадъ.* 1902 г., стр. 472.

<sup>11)</sup> *Дьян.* *всел. соборовъ.* Изд. Каз. Дух. Акад. 1865 г. т. IV. стр. 83—84.

<sup>12)</sup> „Прав. св. всел. соб. съ толков.“ т. I. стр. 138 (8—ое прав. III в. соб.).

ბას კი არა ზღუდავდა, არამედ ხელს უწყობდა და უზრუნველ ჰყოფდა მას, მის თავისუფალ მოქმედებასა და საეკლესიო დაწესებულებათა ხელშეუხებლობას აღნიშნული საქმის სწორეთ ეს მხარე ჰქონდათ სახეში მე-VII მსოფლიო კრების (787 წ.) მამებს, როდესაც, ხატთა—მებრძოლ იმპერატორების შემდეგ, კვლავ განახლდა ძველი კეთილგანწყობილება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, და კრების მამებმა შემდეგის საგულისხმო სიტყვებით გამოხატეს თავისი ალტაცება ამ სასიამოვნო მოვლენის შესახებ:

„სამღვდელოება კურთხევა და სიმტკიცეა მეფობისა, ხოლო მეფობა არის ძალა და საყრდნობელი მღვდელოებისა; სამღვდელოება იცავს და ზრუნავს ზეციურ საქმეთათვის, ხოლო მეფობა, სამართლიანი კანონების საშუალებით, განაგებს ქვეყნიურ საქმეებს. ესლა კედელი უკვე დაირღვა და საბატრელი კავშირა განახლდა.“<sup>13)</sup>

ეს შეხედულება სავსებით შეითვისეს შემდეგში მე-IX საუკუნის იმპერატორებმა, ვასილემ, ლეონმა და ალექსანდრემ, რომლებმაც 879—886 წლებში გამოსცეს „ეპანაგოგა“, სადაც ნათლათ გამოარკვეეს თავისი აზრი საერო და საეკლესიო მთავრობათა ურთიერთობის შესახებ.

„იმპერატორი კანონიერი უზენაესი მთავრობაა და ყველა ქვეშევრდომთა საერთო სიკეთეა, — ამბობს ეპანაგოგა, — მისი დანიშნულებაა — სიკეთის ქმნა. თავის მოქმედებაში იგი უნდა ხელმძღვანელობდეს სდმართა წერილით, შეიდი მსოფლიო კრების დადგენილებებით და რომაული კანონებით. მართლმადიდებლობაში იგი უნდა იყოს მტკიცე, ხოლო სარწმუნოებისათვის ზრუნვაში ყველაზე მალლა უნდა იდგეს. საერო კანონების ახსნის დროს იგი უნდა ხელმძღვანელობდეს არსებულის ჩვეულებით. მაგრამ უფლება ანა აქვს შეიწინააღმდეგოს ისეთი ჩვეულება, რომელიც საეკლესიო კანონებს ეწინააღმდეგება. — პატრიარქი ცოცხალი სახეა ქრისტესი, წარმომადგენელი ქრისტიანებისა სიტყვით და საქმით. მისი მოვალეობაა — თვისი სამწყსოს სულის ცხოვნებაზე იზრუნოს. მას აქვს უფლება: მორწმუნეებს სწავლა-მოდერება გადასცეს და იმპერატორის წინაშე უშიშრათ დაიცვას ქრისტიანობა და დოქტრინა. იმპერატორსა და პატრიარქს, ანუ საერო მთავრობასა და სამღვდელოებას შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც სხეულსა და სულს შორის, — და ადამიანის ბუნების თანხმით, ორივე საჭიროა ქვეშევრდომთა კეთილ-დღეობისათვის. მათს თანხმობაზე დამყარებული სახელმწიფოს კეთილდღეობა.“<sup>14)</sup>

მე-XII საუკუნეში საერო მთავრობა კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და საბოლოოთ სცნო საერო და სასულიერო მთავრობათა სხვადასხვაობა, სახელდობრ, აი რასა სწერდა პაპს ჰონორე მე-II-ეს, ეკლესიათა შეერთების

<sup>13)</sup> *Никодимъ—Миланиъ* loc. cit. стр. 683.

<sup>14)</sup> მოგვყავს პავლოვის თარგმანით, იხ. *Павловъ* loc. cit. стр. 471—472.

გამო, იმპერატორი იოანე კომნენი: „მთელს ჩემს მეფობაში მე ვიცნობდი ორს ძალას, როგორც ანსუბითათ ერთმანეთისაგან განსხვავებულს: პირველია — სასულიერო მთავრობა; ხოლო მეორე — საერო მთავრობა, რომელიც დროებითს საქმეებს განაგებს. ორივე მთავრობა ადამიანთა ცხოვრებაშია გაბატონებული და ერთმანეთისაგან განუყოფელი და განსხვავებულია.“<sup>15)</sup> ამავე აზრს იმეორებს 1187 წელს თავის მე-8მე ნოველაში იმპერატორი ისააკ ანგელოსი.<sup>16)</sup>

ასეთი იყო თეორეტიული შეხედულება ბიზანტიელ იმპერატორებისა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე,

ჩვენ განვებ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს: „თეორეტიული შეხედულება“, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს თეორია ძლიერ განსხვავდება ბიზანტიის იმპერატორთა პრაქტიკულ მოქმედებისაგან. პრაქტიკაში იმპერატორები თეორიას ბევრათ აქარბებდნენ და, ხშირათ, ისეთს საქმეებს სჩადიოდნენ საეკლესიო სფერაში, რომელნიც მათს უფლებას აღემატებოდა, პირდაპირ არღვევდა იმპერატორების მიერვე აღსარებულ პრინციპს საერო და საეკლესიო სფეროთა განყოფილისა.

აღნიშნული თეორია მოკლეთ ასე შეგვიძლია გამოვხატოთ:

ეკლესია და სახელმწიფო ორი სხვადასხვა სამთავროა; პირველი განაგებს საღვთო და საეკლესიო საქმეებს, ხოლო მეორე — საეროსა და ქვეყნურს. მაგრამ მათ შორის ისეთივე დამოკიდებულება არსებობს, როგორიც ადამიანის სულსა და სხეულს შორის. დასაბამი ორივეს ერთი აქვთ და მათი დანიშნულებაც ერთი და იგივეა — საერო კეთილდღეობა. ამიტომ საჭიროა — მათი მოქმედებაც შეთანხმებული იყოს, მაგრამ ისე კი, რომ ამ შეთანხმებამ ეკლესიის შინაგანს ცხოვრებასა და სწავლა-მოდღვრებას იოტის ოდენიც არაფერი დააკლოს. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველჭყოს ეკლესიის სწავლა-მოდღვრებისა და იერარქიის ჩელ-შეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან. სამაგიეროთ ეკლესია ვალდებულია უმაღლეს საერო მთავრობას „უშიშრათ“ ჭკუშარიტება ამხნოს და, ამ სახით, გააფრთხილოს იგი ყალბი ნაბიჯისაგან. საზოგადოთ კი ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის უნდა არსებობდეს ჭარმანიული „კავშირი“ ანუ თანხმება. რომ ამ კავშირმა საზღვარს არ გადააბიჯოს, საჭიროა საერო მთავრობას მუდამ ახსოვდეს, რომ საერო და საეკლესიო მთავრობანი ორი უერთმანეთისაგან განუყოფელი და განსხვავებული ძალაა“, რისგამოც მათი ერთმანეთში არევა, ან ერთის მეორეზე გაბატონება ყოვლად შეუწყნარებელი ცოდვაა.

ასეთია თეორია. ახლა განვიხილოთ მისი პრაქტიკული განხორციელება და შედეგები, რამდენათაც ეს ბიზანტიის იმპერატორთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში გამოიხატა.

(შემდეგი იქნება)

ს. გორგაძე.

<sup>15)</sup> *Θ. Κυριανωβ* Отнош. между Церковью и гражданскою властью въ визант. имперіи. Казань 1880 г. стр. 62.

<sup>16)</sup> *Ibidem* стр. 62, примѣч. 2—06.

## ამბები და შენიშვნები.

— „სმოლენსკ. საეპ. უწყ.“ აცხადებს თავის უკმაყოფილებას სასულიერო პირთა ზოგიერთ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ, სახელდობრ: „სავალდებულო არ იყვეს მღვდლის ხარისხის მიღების მსურველთათვის კურთხევამდის ცოლის შერთვა, — არ აეკრძალოს ქვრივ მღვდლებს მეორედ დაქორწინება, — არ იყოს სავალდებულო მუდამ ანაფორის და გძელი თმის ტარება“. სამღვდლო პირის მეორედ დაქორწინების უკანონობა და შეუსაბამობა მტკიცდება მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა დადგენილებათა კანონების ძალით. რაიცა შესახებ საერო ტანისამოსის ტარებას და თმების გაკრუტევას, სამღვდლოებამ ის უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ ამ გარემოებამ არ იქონიოს მავნე გავლენა მართლმადიდებელ ხალხზე.

სწორედ ასეთის ჰაზრის არიან ამავე საკითხთა შესახებ ქართველი მოაზრებულნიც, რომელნიც განუდგებიან მღვდელს, ხორციელ ენებათა და სოფლის სიამოვნებათა მოტრფიალეს. სამღვდლოებებს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ თავისი, უიმისოდაც დღეს დაცემული ავტორიტეტი, უფრო არ შელახოს.

— „ცნობ. ფურც.“ № 3016 მოთავსებულია მღ. ქ. ციციშვილის წერილი საქართველოს სამღვდლოების დელეგატთა პროექტის „ღამახინჯების“, შესახებ, რაიცა გამობატულია იმაში რომ, „ზოგიერთ პატივსაცემ პირთა რჩევით მ. დეკ. ღამახინჯის დაუბეჭდია იგი „მწყემსში“ „შესწორებულად“. მ. ციციშვილის სიტყვით, პროექტიდან გამორთვებულია შემდეგი ადგილები: „1) მიეცეთ მღვდელთ თავისუფლება ღვთის მსახურების გარეშე ატარონ ტანისამოსი (?) სურვილისამებრ; 2) მიეცეთ ქვრივ მღვდელთ ნება ცოლის (?) შერთვისა; 3) მღვდლის ხარისხის მსურველს ნუ დაევალება ცოლის შერთვა კურთხევამდის; 4) მედავითნებად ყოფნა ქალღმისაც შეეძლოთ (უმცირესობის აზრით)... ეს არის აბუნად ავლება იმათი, ვინც პროექტი შეადგინა, და სხვა არაფერი. ვინ მისცა ნება „მწყემსისა“ და „Духовный Вѣстник“-ის რედაქტორებს სამღვდლოების დადგენილების გადაკეთებისა?“ — ამ საკითხს თითონ მ. ციციშვილივე აძლევს პასუხს:

„პროექტის გამოკვეყნება მიენდო, სხვათა შორის, დეკან. ღამახინჯის, რომელიც ჟურნ. „მწყემსის“ რედაქტორია... მან შესწორებულად დაბეჭდა პროექტი „მწყემსში“. ამ სახითვე გადმოიბეჭდა პროექტი „საექსარხოსოს მახარებელში“. თუ კი ეს ასეა, ვერ გაგვიგია, რა საბუთის ძალით ემდურება მამა ციციშვილი ჩვენს რედაქციას?!

— 17 ოქტ. გამოცემულმა მანიფესტმა ჩვენი სამღვდლოება გაყო ორ ბანაკად: ერთმა, მაგ., იაროსლავის ილუმენმა არსენიმ, ეკლესიის ამბიონიდან გამოუცხადა „ანაფემა“ განმათვისუფლებელ მოძრაობას, მეორემ კი, მაგ., ნაღტის და ვორონეჟის მღვდლებმა, ამჯობინა შეუერთდეს ზომიერ პროგრესისტთა პარტიას და დაიწყო კრების მართვა. სხვათა შორის მოხდა კრება ბუზულიკის მაზრის (სამარ. გუბ.) სამღვდლოებისა. ამ კრებაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ორმა საკითხმა: 1) სამღვდლოება უნდა შეუერთდეს განმათვისუფლებელ მოძრაობას თუ მან არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს პოლიტიკურ საქმეში, 2) როგორი გამგეობა უფრო აკმაყოფილებს ცხოვრების მოთხოვნილებას: 17 ოქტ-

ტომბრის მანიფესტზე დაფუძნებული თვითმპყრობელობა, თუ კონსტიტუცია? კრების ყველა წევრებმა, გარდა ორისა, რომელთ არ მოისურვეს საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება, გადასწყვიტეს, რომ სამღვდლოება უნდა შეუერთდეს განმათავისუფლებელ მოძრაობას. მეორე საკითხის გადაწყვეტას დაესწრო 23 კაცი, მათგან ოთხმა უარი განაცხადა ხმის მიცემაზე, ოციდან 13-მა ამჯობინა კონსტიტუცია, 7-კა 17 ოქტ. მანიფესტზე დაფუძნებული თვითმპყრობელობა.

ამ რიგად, ბუხუღიკის მაზრაში გაიმარჯვა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამარჯვება ხანგრძლივი არ იყო: კონსისტორიამ შეიტყო ეს ამბავი და შეუდგა ძიებას, გამოკითხავს, მიწერ-მოწერას და სხ. („Страна“ № 3.).

➔ მოსკოვის სამღვდლოება აპირობს სთხოვოს უწმიდეს სინოდს გადაასწლოს მოსკოვიდამ მღვდელი გრიგოლი პეტროვი და გადააყენოს მღვდლობიდან. მიზეზებად სამღვდლოება ასახელებს მის სალიტერატურო მოღვაწეობას, შეკრეტილ თმით სიარულს, და საერო ტანსამოსის ტარებას. („Колоколь“ № 45).

➔ უწმიდესი სინოდის წიგნთსაცავში არის ხელთნაწერი წიგნების განყოფილება, რომელშიაც სამათასამდის ხელნაწერია და 600 ძველი დაბეჭდილი წიგნი. უწმიდეს სინოდს სურს გააპიდროს ეს განყოფილება. ამის გამო მან ამ წლის 12 იანვარს მოახდინა განკარგულება ყოველის ეპარქიის უფროსის სახელობაზე, რათა, ეკლესიათა და მონასტერთა წინამძღვრებმა, უკეთუ იმათი სურვილიც იქნება, გამოგზავნონ ხსენებულს წიგნთსაცავში ძველი დაბეჭდილი წიგნები და ხელთნაწერები და ან არა და გაგზავნონ ისინი შესანახად ადგილობრივს საეპარქიო სიძველეთსაცავში. („Колоколь“ № 45).

➔ ორიოლის ეპარქიის ერთს სამაზრო ქალაქში ქრისტიანობისთვეში ეკლესიათა მნათეების თავისებური გაფიცივა მოხდა. ეკლესიების ქონების ინტერესების დამცველთ მოახდინეს საზოგადო კრება და ერთხმად დაადგინეს იშუამდგომლურ განთავისუფლებულ იქმნან მათი ქალაქის ეკლესიები სავალდებულო გადასახადებისაგან სასარგებლოდ ემერიტურისა, სასულიერო და საეპარქიო სასწავლებლებისა, საკეთილმოწყვესო წიგნთსაცავებისა და სხვა; დაადგინეს კრების დღიდან დაწყებითი, ვიდრე საკითხი გადაწყდებოდეს, შეჩერებულ იქმნას ხსენებულ ხარჯების ძლევა (იაროს. სავა. უწყ.).

ჩვენი ქალაქის ზოგიერთი ეკლესიების მნათეები-კი სხვაფრივ გაიფიციებინან ხოლმე: იგინი არც ეკლესიებში დადიან და არც ეკლესიების ქონებას აქცევენ ყურადღებას.

ამ საში-ოთხი თვის წინად გაფიცივა ძალიან „მოდაში“ იყო. იმ დროს, როდესაც ორიოლის სამაზრო ქალაქში გაიფიციენ მნათეები, ჩვენმა დიაკონებმა და მედავითნებმაც დააპირეს გაფიცივა: თუ მღვდლები შემოსავლიდან მათ  $\frac{2}{3}$ -ს არ მისცემდნენ, იგინი ეკლესიებში ფეხს აღარ შესდგამდნენ. რომელ ეკლესიასაც ასეთი მსახურები ჰყავს, მას „ვერ სძლევს ბჭენი ჯოჯოხეთისანი“!

➔ კეთილ-მოწყვეები კრებულის წევრთ ნიშნებს უსმენ ყოფა-ქცევაში, როგორც სკოლის შეგირდებს. კეთილმოწყვეებს სრული უფლება აქვთ დასვან „საკრებულო უწყებაში“ ნიშანი, რომელიც მათ სურთ.

სმოლენსკის საეპარქიო კრებამ სხვათა შორის იქონია მსჯელობა სამღვდლოებისთვის ამ დამამცირებელი ჩვეულების შესახებ და დაადგინა ეთხოვოს ეპისკოპოსს მოახდინოს განკარგულება, რათა ეს ჩვეულება მოსპობილ იქმნას. ეპისკოპოსმა დაამტკიცა ჟურნალი (იაროს. ს. უ.).

„კურსკ. საპ. უწყ.“ ვინმე მღვდელი ამბობს: „პირველ საუკუნოებში ეკლესიის კრებული შესდგებოდა მარტო სამი პირისაგან: ეპისკოპოსისა, ხუცუკისა და დიაკონისაგან. საღმრთო წერილსა და საეკლესიო კანონებში მედავითნის ხსენება არ არის. მედავითნე მეტია, იგი ბოლო ხანებშია გამოგონებული.

— ამ ახლო ხანებში საფრანგეთის ორმა მკურნალმა გამოსცა წიგნი რევოლიუციონურ ნევროზების შესახებ, რომელშიც ამტკიცებენ, რომ რევოლიუციონური იდეა არის ერთგვარი მოარულის მსგავსი ავითმყოფობა ნერვების მოშლის ნიადაგზე. მკურნალ პუატრი უფრო მეტის თქმას აპირებს: მას სურს დაამტკიცოს, რომ ანარქიზმი ანუ უკეთ ლტოლვილება ანარქიზმისადმი, არის ერთ გვარი სულიერი სნეულება, რომლის წინაღმდეგაც საჭიროა არა გილიოტინები, \*) სახრჩობლები, ტყვიები და ცხეხები, არამედ მეცნიერულად მოწყობილი საკუთრივ „ანარქისტთა საავითმყოფოები“ (იაროს. ს. უწყ.). სოფ. უტეგკაში, ბუხულის მაზ., სკოლის შენობაში, ადგილობრივი მღვდლის ორმა შვილმა დაიწყეს კრებების მართვა, რომლებზედაც იწვევდნენ ხალხე თავიანთ მამას. იგინი ხალხში პირდაპირ კიცხავდნენ მამას, რადგანც გულგრილად უყურებდა ტანჯული ხალხის მღვდომარეობას იგინი უხსნიდნენ მამას თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ამ გაჭირვებულ დროს კერძოდ ის და საზოგადოდ მთელი სამღვდლოება. მამა არ ეთანხმებოდა შვილების აზრს. შვილები სამი დღე ეცადნენ მიემხროთ თავიანთკენ მამა, მაგრამ ამაოდ. ქრისტესშობის თავის 24-ს იმათ მოკლეს მამა (რიგ. საეპ. უწყ.).

— ვლადივოსტოკის ეპარქიის მღვდელი ვ. დავიდოვი სწერს, რომ საზოგადო უკმაყოფილება უფროსებისადმი სამღვდლოებასაც გადაედო. გაისმის ხმები, კეთილ-მოწყენი არ იყვნენ მოწვეულნი საეპარქიო კრებაზე. სამღვდლოებას სურს შეადგინოს კორპორაცია და, ეპისკოპოსის დაუკითხავად, საკუთრივ თითონ გადაწყვიტოს საეკლესიო საკითხები. უნდა გვასოვდესო, ამბობს მათ წინაღ. მ. დავიდოვი, რომ ჩვენი ეკლესია არის საეპისკოპოსო და არა სამღვდლო. (კურსკ. გოლოს‘.)

— საჭიროა, ამბობს რუჯულის ერთი მასწავლებელთაგანი, რუჯულის სწავლება ძირითად შეიცვალოს: უნდა შეიცვალოს პროგრამა და სრულიად მოიხსნოს საღმრთო წერილის გავითილებში ნიშნები დასმა. „ქრისტეს სწავლა ძლიერია და მან თავის თავადეე უნდა მიიზიდოს კაცი, და არა ძალდატანებით“. (კურსკ. საეპ. უწყ.)—სამარის სამღვდლოების კრებამ დაადგინა ქალების საეპარქიო სასწავლებელში კურს დამთავრებულთ მიცემთ კონსისტორიაში სამსახურის ნება. (კვიატკ. საეპ. უწყ.).

\*) გილიოტინა—თავის მოსაკრელი მანქანა,



Опечатка. Редакція просить читателей предварительнаго прочтенія № 6 зачеркнуть на 16 страницъ 4 строки съ конца, — а именно: „образованнаго“.... до „об.“ включительно, которыя (строки), занимая свое законное мѣсто въ концѣ 17 страницы, на 16 страницъ напечатаны по ошибкѣ наборщика.

Ред.

## Объявленіе.

Съ 19-го февраля 1906 года начнетъ выходить въ С.-Петербургѣ ежедневная политическая, экономическая и общественная газета

### „СТРАНА“.

Раздѣляя многіе взгляды демократическихъ реформъ, но не служа ея органомъ, „СТРАНА“ будетъ относиться сочувственно ко всѣмъ партіямъ, имѣющимъ въ виду переустройство современнаго политическаго уклада на началахъ личной свободы, областного самоуправления и широкаго участія народа въ законодательствѣ и контролѣ за внѣшней и внутренней политикой Россіи.

Своей задачей газета признаетъ содѣйствіе установленія въ нашемъ отечествѣ прочнаго демократическаго порядка путемъ рѣшенія неотложныхъ вопросовъ каковы прежде всего земельный и рабочій.

Она видитъ въ распространеніи образованія въ массахъ и въ подъемѣ ихъ матеріальнаго уровня, важнѣйшее условіе для того, чтобы представительная монархія, основанная на всеобщемъ голосованіи, могла обезпечить мирное развитіе нашей странѣ.

Редакторы: } *Максимъ Ковалевскій.*  
                  } *Проф. И. И. Иванюковъ.*

Издатель *А. Н. Александровскій*

Девятнадцатаго февраля выйдетъ номеръ газеты, посвященный обзѣнкѣ главныхъ теченій русской мысли и жизни послѣ этого историческаго дня.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой въ Спб и Россіи: на годъ—12 р., на 11 мѣс.—11 р., на 10 мѣс.—10 р., на 9 мѣс.—9 р., на 8 мѣс.—



8 р., на 7 мѣс.—7 р., на 6 мѣс.—6 р., на 5 мѣс.—5 р., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 10 к.

Заграницу: на годъ—24 р., на 11 мѣс.—22 р., на 10 мѣс.—20 р., на 9 мѣс.—18 р., на 8 мѣс.—18 р., на 7 мѣс.—14 р., на 6 мѣс.—12 р., на 5 мѣс.—10 р., на 4 мѣс.—8 р., на 3 мѣс.—6 р., на 2 мѣс.—4 р., на 1 мѣс.—2 р.

Для учащихся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ, сельскихъ священниковъ, учителей и учительницъ: на годъ—8 р., 10 мѣс.—7 р., 6 мѣс.—4 р., 3 мѣс.—2 р. 25 к., 2 мѣс.—1 р. 50 к., и 1 мѣс.—80 к.

Адресъ редакціи: Невскій 92, кв. 4.

Подписка принимается въ Главной Конторѣ газеты „СТРАНА“ Спб., Невскій 65, ежедневно отъ 10 до 5 час. дня.

---

**Содержаніе № 6. Часть официальная:** Высочайшее повелѣніе. — Высочайшій приказъ по гражданскому вѣдомству, — Распоряженія Грузинскаго Епархіальнаго Начальства. **Часть неофициальная:** Симъ побѣдишь! Свящ. И. Ш-зе. Священникъ и Политика. П. Кудрявцева. Когда и почему былъ приостановленъ выборъ католикаса грузинской церкви? (Слово). Изъ иноепархіальной жизни. С. Н. И. Къ матеріаламъ по исторіи автокефальности Грузинской церкви. Ил. Перадзе. Объявленіе. **ქართული განყოფილება.** კართლა ესპირობება ეკლესიის რეფორმები. მ. ი. ჯაშინსა, სინდისისა და ეკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაში. ს. მოკბაძისა, — ამბები და შენიშვნები.

---

Редакторъ, свящ. Н. Покровский.

Редактирующій грузинскій отдѣлъ, Ил. Перадзе.